ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5600978

ნომერი: AR1850694

თარიღი : 15.09.2021

გაცემის თარიღი : 17.09.2021

გაცნობის თარიღი : 17.09.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , N 6ე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ზვიადაური პ/ნ 01008055454
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 4 ბ. 79

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 სექტემბრის №5584656 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 15 სექტემბერს №AR1850694 განცხადებით მომართა ალექსანდრე ზვიადაურმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 06

სექტემბრის №5584656 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 06 სექტემბრის №5584656 გადაწყვეტილებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა №6-ე-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (II კვარტალი, XII კორპუსი, ბლოკი ,,ბ“) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 06 სექტემბრის №5584656 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ: “ბ“ ბლოკის კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად 5322 კვ.მ./7890 კვ.მ.=0.7 ნაცვლად 5112.9 კვ.მ./7890 კვ.მ.=0.6 დაფიქსირებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 06 სექტემბრის №5584656 გადაწყვეტილებაში “ბ“ ბლოკის კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად იქნა დაფიქსირებული.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 სექტემბრის №5584656 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 სექტემბრის №5584656 გადაწყვეტილებაში და კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) ველში „ბ“ ბლოკისთვის დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: „5112.9 კვ.მ/7890 კვ.მ=0.6“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 სექტემბრის №5584656 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 06 სექტემბრის №5584656 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.